ბნ. ბიძინა ვანიშვილს
პრემიერ მინისტრი
ბნ. გიორგი მარგველაშვილს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბნ. ივანე კიღურაძეს
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს

ასლი: საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს (სპმთპ)

13 ნოემბერი 2012

ეფექტური სოციალური დიალოგის დამკვიდრება საქართველოს განათლების სექტორში

ბატონებო

ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტი, ETUCE, განათლების ინტერნაციონალის ევროპულ რეგიონს წარმოადგენს, რომელიც ევროპაში 45 ქვეყნის 135 მასწავლებელთა პროფკავშირებს აერთიანებს და განათლების სექტორის ყველა სექტორიდან 12.8 მილიონ პედაგოგს წარმოადგენს. ETUCE ევროკავშირის დონეზე განათლების სფეროში სოციალური პარტნიორია და ევროპის პროფკავშირების ფედერაციის წევრი ორგანიზაციაა.

უპირველესად გულითადად გილოცავთ საქართველოში ჩატარებული არჩევნებში გამარჯვებას და თქვენს მომავალ საქმიანობებში გისურვებთ წარმატებებს. გვჯერა რომ თქვენ თვითოეული საქართველოს მოქალაქის მოლოდინებს გაამართლებთ, მათ შორის თქვენი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საქართველოს განათლების სექტორში არსებული გამოწვევების მოგვარებას.

აღნიშნული წერილით, ETUCE მხარდაჭერას გამოხატავს მისი წევრი ორგანიზაციას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფლ პროფკავშირის (სპმთპ) მიმართ. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს ის რთული პეროდი რაც მასწავლებელთა პროფკავშირმა გადაიტანა ამ ბოლო პერიოდში, მათ შორის იყო პროფკავშირულ საქმიანობაში ჩარევის ფაქტები, როგორიცაა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, მაია კობახიძის ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენება, ყრილობის შემდგომ მუდმივად მიმდინარეობდა მასწავლებლებზე ზეწოლა და დაშინება არ გამოეხატათ მხარდჭერა პროფკავშირისადმი. ეჭვგარეშეა რომ მიზანი ერთი იყო წარმატებული პროფკავშირული საქმიანობის ხელის შეშლა.

იმ დროისთვის ETUCE–სთვის საჭირო გახდა განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ აეყვანა საქართველოში წევრი ორგანიზაციის წინაღმდეგ მიმართული მოვლენები. ETUCE შექმნა საერთაშორისო მისია, რომელიც ესწრებოდა სასამართლო განხილვებს, სადაც აღიარებული იქნა პრეზდენტის არჩევის ლეგიტიმურობა. საერთაშორისო მისია ასევე შეხვდა ადგილობრივ

ETUCE

თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს რათა განეხილათ განსაკუთრებით რთული სიტუაცია, 2011 წლის ოქტომბერში მე პირადად ვიმყოფებოდი თბილისში, მაშინდელ მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან შეხვედრაზე, რათა განმეხილა სპმთპ–ისა და სამინისტორს შორის საქართველოს კანონმედებლობისა და საერთაშორისო კონვენციების გათვალისწინებით ნორმული ურთიერთბების ჩამოყალიბება.

ETUCE-თვის სასიხარულოა რომ სპმთპ დიდ იმედებს ამყარებს ახალ მთარობასთან თანამშრომლობასა და მომავალი შრომითი ურთიერთების განვითარებაზე. სპმთპ როგორც სოციალური პარტნიორი მზად ყოფნას გამოთქვამს საკუთარი ხედვები წარმოადგინოს განათლებისა და განათლების სექტორში შრომითი ურთერთობების ჰარმონაიზიციის ხელშესაწყობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ მასაწვლებელთა პროფკავშირმა გაუძლო იმ პრობლემებსა და სიძნელეებს რაც ყრილობის შემდგომ განვითარდა. ETUCE დარწმუნებულია რომ საქართველოს ახალი მთავრობა გაამართლებს სტუდენტთა და მშობელთა ისევე როგორც განათლების სფეროში დასაქმებულთა სურვილებს, ასევე დაიწყებს კონსტრუქციულ დიალოგს მასწავლებელთა პროფკავშირთან განათლების სფეროში არსებულ საკითხებზე მსჯელობის მიზნით და ერთად მყისიერად მიძებნება ერთობლივი ხედვები არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში

პატივიცემით
მარტინ რომერი
ევროპული დირექტორი